ძველი აღთქმის გამოკვლევა

ტესტების პასუხები

მომზადებულია

დოქტორი რანდალ მაკელვეინის მიერ

shepherds
GLOBAL CLASSROOM

გაკვეთილი 1

ძველი აღთქმის შესავალი

(1) რას ნიშნავს სიტყვა „კანონი“ ბიბლიასთან მიმართებაში?

> წესი ანუ სტანდარტი იმის დასადგენად, თუ რომელი წერილებია ღვთის მიერ შთაგონებული სიტყვა.

(2) ჩამოთვალეთ სამი სტანდარტი, რომლებიც გამოყენებულია ძველი აღთქმის კანონის დასამკვიდრებლად.

- ავტორი დაჯილდოვებულია წინასწარმეტყველური ნიჭით.
- წიგნი ყველა თაობის მიმართ არის.
- გზავნილი არ ეწინააღმდეგება ადრინდელ გამოცხადებებს.

(3) ჩამოთვალეთ ებრაული ბიბლიის სამი ნაწილი.

- რჯული
- წინასწარმეტყველები
- წერილები

(4) ჩამოთვალეთ ქრისტიანული ძველი აღთქმის ხუთი ნაწილი.

- ხუთწიგნეული
- ისტორიული წიგნები
- პოეზია და სიბრძნე
- დიდი წინასწარმეტყველები
- მცირე წინასწარმეტყველები

(5) რას ნიშნავს ტერმინი „ღვთივსულიერი“?

> "ღვთის მიერ შთაგონებული"

(6) რას ნიშნავს ტერმინები „შეუცდომელი“ და „უტყუარი“?

- შეუცდომელი ნიშნავს უშეცდომოს.
- უტყუარი ნიშნავს, რომ არ გიმტყუნებს.

(7) როგორ ცხადყოფს მკვდარი ზღვის გრაგნილები ძველი აღთქმის ტექსტურ მთლიანობას და სიზუსტეს?

ისინი ცხადყოფენ, რომ ძველი აღთქმა ასობით წლის განმავლობაში გადაწერილი იყო მაღალი სიზუსტით.

(8) ჩამოთვალეთ სამი გზა, თუ როგორ გვესაუბრება ძველი აღთქმა დღეს.

- ის გვასწავლის ღვთის დიდებასა და სიწმინდეს.
- ის გვასწავლის ადამიანის ცოდვისა და გამომსყიდველის საჭიროების შესახებ.
- ის გვასწავლის ღვთის გეგმას - შექმნას წმიდა ხალხი, რომელიც გამოყოფილია მის განსაკუთრებულ საკუთრებად.

(9) დაწერეთ ზეპირად ნასწავლი ფსალმუნის 19:7-11.

(გადაამოწმეთ დაზეპირებული მუხლების სიზუსტე ბიბლიაში.)

გაკვეთილი 2

დაბადება: დასაწყისში

(1) რას ნიშნავს ებრაული სიტყვა *თორა*?

"სწავლება" ან "კანონი"(რჯული)

(2) როგორ არის წარმოდგენილი იესო, ხუთწიგნეულის თითოეულ წიგნში?

- დაბადება: მეორე ადამი
- გამოსვლა: პასექის კრავი
- ლევიანები: სრულყოფილი მსხვერპლი
- რიცხვნი: სპილენძის გველი
- მეორე რჯული: მომავალი წინასწარმეტყველი

(3) ჩამოთვალეთ ძველი აღთქმის ოთხი თემა, რომლებიც წარმოდგენილია ხუთწიგნეულში.

- ღმერთის უზენაესობა (სუვერენობა)
- ადამიანის ცოდვილობა
- ხსნის ღმერთისმიერი გეგმა
- სიწმინდე

(4) რა არის დაბადების წიგნის თემა?

"დასაწყისში"

(5) ჩამოთვალეთ დაბადების წიგნის ორი ძირითადი ნაწილი.

- პირველყოფილი ისტორია (1-11)
- პატრიარქების ისტორია (12-50)

(6) ჩამოთვალეთ ოთხი ძირითადი მოვლენა დაბადების 1–11თავებში.

- ქმნადობა
- დაცემა
- წარღვნა
- ბაბილონის გოდოლი

(7) ჩამოთვალეთ ოთხი მთავარი პერსონაჟი დაბადების 12–50 თავებში.

- აბრაამი
- ისააკი
- იაკობი
- იოსები

(8) თითოეულმა თითო წინადადებით შეაჯამეთ აბრაამთან დადებული აღთქმის სამი ასპექტი.

- დაბადება 12: ღმერთი აბრაამის შთამომავლებს ყველა ერის კურთხევად აქცევს.
- დაბადება 15: ღმერთმა თავისი თავი მარადიული აღთქმის სისხლის ფიცის ქვეშ დააყენა.
- დაბადება 17: წინადაცვეთა არის აღთქმისადმი რწმენის ნიშანი.

(9) ჩამოთვალეთ სამი რამ, რასაც დაბადების წიგნი გვასწავლის ქმნადობის შესახებ.

- ღმერთმა სამყარო არაფრისგან შექმნა.
- არსებობს ერთი უზენაესი ღმერთი.
- ადამიანი ღვთის ხატად არის შექმნილი.

(10) ჩამოთვალეთ სამი გზა, რომლითაც დაბადების წიგნი ელაპარაკება თანამედროვე ეკლესიას.

- ადამიანის სიცოცხლე ღირებულია.
- ადამიანი პასუხისმგებელია ჩვენს სამყაროზე ზრუნვაზე.
- ეკლესიას აქვს მახარობლობისა და მომოწაფეების დავალება.

(11) დაწერეთ ზეპირად ნასწავლი დაბადების 3:15 და 12:3.

(გადაამოწმეთ დაზეპირებული მუხლების სიზუსტე ბიბლიაში.)

გაკვეთილი 3

გამოსვლა-მეორე რჯული: ისრაელი ერის დასაბამი

(1) დაასახელეთ ეგვიპტიდან ისრაელის გამოსვლის სავარაუდო თარიღი.

ძვ, წ. 1446 წ.

(2) ჩამოთვალეთ თითოეული წიგნის თემა.

- გამოსვლა: გამოსყიდვა და ურთიერთობა
- ლევიანები: სიწმინდე
- რიცხვნი: დაუმორჩილებლობის შედეგები
- მეორე რჯული: აღთქმის განახლება

(3) დაასახელეთ გამოსვლის ორი ძირითადი ნაწილი.

- გამოსყიდვა ეგვიპტიდან (1-15 თავები)
- ურთიერთობა იაჰვესთან (16-40 თავები)

(4) ჩამოთვალეთ გამოსვლის ოთხი მოვლენა, რომლებიც ასახავენ ისრაელის გამოსყიდვას ეგვიპტიდან.

- მოსეს დაბადება და მოწოდება
- ათი "ჭირი" (სასჯელი)
- პასექი
- წითელი ზღვის გადაკვეთა

(5) დაასახელეთ ორი მოვლენა გამოსვლაში, რომელიც აღნიშნავს იაჰვესა და ისრაელს შორის ურთიერთობის დამყარებას.

- ათი მცნების მიცემა
- კარვის დადგმა

(6) დაასახელეთ ლევიანთა მიერ მიტანილი თითოეული შესაწირავი.

- **პურეულის შესაწირავი**: ძღვენი შესაწირავი, რომელიც ახლავს სხვა შესაწირავს
- **ყოვლადდასაწველი შესაწირავი**: ძველი აღთქმის პირველი შესაწირავი
- **დანაშაულის გამოსასყიდი შესაწირი**: ეხება დარღვევებს, რომლებიც გამოსყიდვას საჭიროებენ
- **ცოდვისათვის შესაწირი**: გამოისყიდის რჯულის უნებლიე დარღვევებს
- **სამშვიდობო შესაწირი**: აღნიშნავს თაყვანისმცემელსა და ღმერთს შორის ურთიერთობას

(7) ლევიანთა 17-27 თავები **სიწმინდის კოდექსი** ასწავლიდა ისრაელს, როგორ ეცხოვრათ ისე, რომ მათი ყოველდღიური ცხოვრება სიწმინდის მაგალითი ყოფილიყო.

(8) ჩამოთვალეთ ოთხი საფეხური, ძველი აღთქმის რჯულის დღევანდელობაში გამოსაყენებლად.

- ძველი აღთქმის რჯულის წაკითხვა.
- რჯულის მიერ ნასწავლი პრინციპის, ან ღმერთის ბუნების გამოვლენილი ასპექტის აღმოჩენა.
- რჯულის გამოყენებაში ქრისტეს მოსვლით გამოწვეული ცვლილებების მოძებნა.
- ძველი აღთქმის რჯულზე დაფუძნებული თანამედროვე პრაქტიკის განსაზღვრება.

(9) ჩამოთვალეთ რიცხვთა წიგნის სამი ძირითადი ნაწილი.

- ისრაელი სინაზე
- ისრაელი უდაბნოში
- ისრაელი მოაბის ველზე

(10) მოსეს სამი მიმართვა მეორე რჯულში: ...

- ისტორიული: რა გააკეთა ღმერთმა
- კანონისმიერი: რას ითხოვს ღმერთი
- წინასწარმეტყველური: რას გააკეთებს ღმერთი

(11) დაწერეთ ზეპირად ნასწავლი გამოსვლის 3:14, ლევიანთა 20:7–8 და მეორე რჯულის 6:4–5.

(გადაამოწმეთ დაზეპირებული მუხლების სიზუსტე ბიბლიაში.)

გაკვეთილი 4

იესო ნავეს ძე - რუთი:
ერთგულებისა და ორგულობის თვალსაჩინო მაგალითები

(1) რა ეწოდება ისტორიულ წიგნებს ებრაულ ბიბლიაში?

ყოფილი წინასწარმეტყველები

(2) განმარტეთ სიტყვა "თეოკრატია".

ღმერთის პირდაპირი მმართველობა

(3) ჩამოთვალეთ თითოეული წიგნის თემა:

- იესო ნავეს ძე: ქანაანის დაპყრობა
- მსაჯულები: განდგომა ისრაელში
- რუთი: ერთგულება განდგომის ხანაში

(4) იესო ნავეს ძეს ორი ძირითადი ნაწილია

- ქანაანის დაპყრობა
- ქანაანის დასახლება

(5) რა არის იესო ნავეს ძეს წიგნის მთავარი მიზანი?

რათა ეჩვენებინა ღმერთის ერთგულება ისრაელის მიმართ, როდესაც ისინი იყვნენ მისი ერთგულები

(6) რა იყო თავშესაფარი-ქალაქების დანიშნულება?

იმ ადამიანის დაცვა, რომელმაც შემთხვევით მოკლა ვინმე

(7) ჩამოთვალეთ ოთხი პრინციპი, რომლებიც გასათვალისწინებელია იაჰვეს ომის შესწავლისას იესო ნავე ძეს წიგნში.

- იაჰვეს ომი ასახავს ღვთის სამართლიანობას.
- იაჰვეს ომი ასახავს ღმერთის უზენაესობას.
- იაჰვეს ომი ასახავს ღვთის სიწმინდეს.
- იაჰვეს ომი ასახავს ღვთის სიყვარულს.

(8) რა არის მსაჯულების წიგნის მთავარი მიზანი?

ისრაელის განდგომის შედეგების ჩვენება

(9) მსაჯულებში რომელია განდგომისა და ხსნის ციკლის ოთხი საფეხური?

- ცოდვა
- ომი, როგორც განკითხვა
- მონანიება
- ხსნა

(10) განმარტეთ „ლევირატული ქორწინება“.

ახლო ნათესავის დაქორწინება გარდაცვლილის ქვრივზე პირველი ქმრის სახელისა და მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად.

(11) დაწერეთ ზეპირად ნასწავლი იესო ნავეს ძეს 1:8-9.

(გადაამოწმეთ დაზეპირებული მუხლების სიზუსტე ბიბლიაში.)

გაკვეთილი 5

მეფეთა (სამუელი)-ნეშტთა
ისრაელის მონარქიის აღზევება და დაცემა

(1) ჩამოთვალეთ თითოეული წიგნის თემა:

- 1 მეფეთა (1 სამუელი): ისრაელის მონარქიის დასაწყისი
- 2 მეფეთა (2 სამუელი): დავითის მეფობა
- 3 (1 მეფეთა) და 4 მეფეთა (2 მეფეთა): ისრაელის მეფეების მარცხი
- 1 და 2 ნეშტთა: არსებობს იმედი.

(2) ჩამოთვალეთ სამი მოვლენა საულის მეფობის დასაწყისში, რომლებიც ცხადყოფს, რომ ის ვერ იქნებოდა ღმერთის სასურველი მეფე.

- მან საკუთარ თავზე აიღო სამუელის ღვთისმსახურების როლი.
- მან დაუფიქრებად დაიფიცა, რასაც კინაღამ იონათანის სიკვდილი მოჰყვა.
- ის არ დაემორჩილა ღვთის ბრძანებას ყამალეკიანების სრული განადგურების შესახებ.

(3) ჩამოთვალეთ ხუთი აღთქმა დავითის მიმართ.

- ღმერთი უზრუნველყოფს ისრაელის უსაფრთხო ცხოვრებას.
- ღმერთი დავითის ძეს წამოაყენებს ტაძრის ასაშენებლად.
- ღმერთი სამუდამოდ განამტკიცებს დავითის სამეფოს.
- ღმერთი დავითის შთამომავლებთან მამა-შვილურ ურთიერთობას დაამყარებს.
- ღვთის წყალობა არ დატოვებს დავითის შტოს.

(4) ჩამოთვალეთ ოთხი პრინციპი დავითის ცოდვიდან გამომდინარე, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ცოდვაში ჩავარდნილმა მორწმუნემ.

- ჩვენ უნდა ვაღიაროთ ჩვენი ცოდვა.
- ჩვენ უნდა ვაღიაროთ ჩვენი ცოდვის სიმძიმე.
- ჩვენ უნდა ვეძიოთ და გვჯეროდეს, რომ ღვთის პატიებას მივიღებთ.
- ჩვენ უნდა გვესმოდეს ჩვენი ცოდვის გრძელვადიანი შედეგი და ფასი.

(5) 3 მეფეთა (1 მეფეთა) და 4 მეფეთა (2 მეფეთა) წიგნები რომელ წლებს მოიცავს?

ძვ. წ. 971-561 წწ.

(6) ისრაელის დაყოფის შემდეგ რომელი ტომები დარჩნენ დავითის შტოს მეფის ერთგული?

იუდა და ბენიამინი

(7) როგორ ფასდებიან მეფეები 3 და 4 მეფეთა (1 და 2 მეფეთა) წიგნებში?

მათი ერთგულებით ღმერთისადმი

(8) შეადარეთ ნეშტთა და მეფეთა შინაარსი იუდას მეფეებთან დაკავშირებით.

- მეფეთა წიგნი სვამს კითხვას, "დადიოდა თუ არა მეფე დავითის გზაზე?"
- ნეშტთა სვამს კითხვას, "იყო თუ არა მეფე ტაძრის ღვთისმსახურების ერთგული?"

(9) რა თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი სოლომონის მეფობა ნეშტთათვის?

მან ააგო ტაძარი.

(10) შეადარეთ ნეშტთა და მეფეთა წიგნების შინაარსი მენაშესთან მიმართებით.

- მეფეთა წიგნი გვიჩვენებს, რომ მენაშე იყო იუდას მეფეთა შორის ყველაზე უარესი.
- ნეშტთა მოგვითხრობს მენაშეს ტყვეობაში მონანიების შესახებ.

(11) დაწერეთ ზეპირად ნასწავლი საზეპირო მუხლები: 3 მეფეთა (1 მეფეთა) 9:4-7 და 2 ნეშტთა 7:13-14.

(გადაამოწმეთ დაზეპირებული მუხლების სიზუსტე ბიბლიაში.)

გაკვეთილი 6
ეზრა-ესთერი: აღდგენის წიგნები

(1) ჩამოთვალეთ აღორძინების პერიოდის ძირითადი მოვლენების თარიღები.

- პირველი დაბრუნება ზერუბაბელის დროს: **538 წ. ძვ. წ.**
- ტაძრის დასრულება: **516 წ. ძვ. წ.**
- მოვლენები ესთერის წიგნში: **483-473 წ. ძვ. წ.**
- მეორე დაბრუნება ეზრას ხელმძღვანელობით: **458 წ. ძვ. წ.**
- ნეემია ბრუნდება: **444 წ. ძვ. წ.**

(2) მიუთითეთ თემა თითოეული წიგნისთვის.

- ეზრა: გადასახლებიდან დაბრუნება
- ნეემია: კედლების აღდგენა
- ესთერი: ღმერთი აკონტროლებს (უფლობს)

(3) დაასახელეთ ორი მსგავსება ეზრასა და ნეემიას წიგნებს შორის.

ნებისმიერი ორი:

- ორივეს ერთი და იგივე ისტორიული გარემო აქვს.
- ორივე ეხება იერუსალიმში დაბრუნებას სპარსეთის არტაქსერქსე I-ის დროს.
- ორივეში შედის ებრაელი ხალხის სია.
- ნეემიას 7-13 თავები აჯამებს როგორც ეზრას, ასევე ნეემიას რეფორმებს.

(4) **სპარსეთის** იმპერია დაპყრობილ ხალხებს სამშობლოში დარჩენის საშუალებას აძლევდა.

(5) **ანგიას** და **ზაქარიას** უწოდეს "ტაძრის წინასწარმეტყველები", რადგან ისინი ხელს უწყობდნენ ტაძრის აღდგენას.

(6) რატომ იყო ებრაელებსა და მათ მეზობლებს შორის ქორწინება სერიოზული პრობლემა ეზრასა და ნეემიაში?

- იერუსალიმის მეზობლები ურწმუნოები იყვნენ.
- სპარსეთი სინკრეტული იყო.

(7) რომელი მცირე წინასწარმეტყველი სვამს იმავე კითხვებს, რასაც ნეემია?

მალაქია

(8) ჩამოთვალეთ ლიდერობის სამი პრინციპი ნეემიას წიგნიდან.

აქედან ნებისმიერი:

- სულიერი ლიდერები უნდა იყვნენ ხედვის ადამიანები.
- სულიერმა ლიდერებმა გულმოდგინედ უნდა დაგეგმონ.
- სულიერი ლიდერები უნდა იყვნენ მამაცები.
- სულიერ ლიდერებს აქვთ მსახურის სული და არა ძალაუფლების სული.
- სულიერმა ლიდერებმა იციან ლოცვის მნიშვნელობა.
- სულიერი ლიდერები ერგებიან თითოეული სიტუაციის საჭიროებებს.

(9) დაასახელეთ სამი ძირითადი გაკვეთილი, რომელსაც ესთერი გვასწავლის.

- ღმერთის უზენაესობა
- ერთგულების მნიშვნელობა
- ბოროტების უგუნურება

(10) ებრაული დღესასწაული, რომელიც დაკავშირებულია ესთერის წიგნთან არის **პურიმი**.

(11) დაწერეთ ზეპირად ნასწავლი ნეემიას 2:17 და ესთერის 4:14.

(გადაამოწმეთ დაზეპირებული მუხლების სიზუსტე ბიბლიაში.)

გაკვეთილი 7
იობი და ფსალმუნები: ებრაული პოეზია

(1) განსაზღვრეთ ებრაული პარალელიზმის სამი ტიპი.

- სინონიმური პარალელიზმი: მეორე სტრიქონი აძლიერებს პირველ სტრიქონს მსგავსი სიტყვებით.
- ანტითეტიკური პარალელიზმი: პირველი სტრიქონი კონტრასტულია მეორე სტრიქონთან მიმართებაში.
- სინთეზური პარალელიზმი: მეორე ხაზი ავსებს პირველი ხაზის აზრს.

(2) განსაზღვრეთ აკროსტიკული პოეზია.

აკროსტიქულ პოეზიაში ყოველი სტროფი იწყება ანბანის მომდევნო ასოთი.

(3) რა არის იობის წიგნის მთავარი თემა?

ღვთის ძიება

(4) რა სამი ძირითადი პუნქტი იკვეთება იობის მეგობრების მსჯელობაში?

- ტანჯვა ეშვება როგორც სასჯელი ან გამოსყიდვა ცოდვისთვის.
- ღმერთი სამართლიანი ღმერთია.
- ამიტომ, იობი რაღაც ცოდვაში უნდა იყოს დამნაშავე, რისთვისაც ღმერთი სჯის მას.

(5) რა იყო იობის მონოლოგების თემები იობის 28-31-ე თავებში?

- იობის 28-ე თავი წარმოადგენს პოემას სიბრძნეზე.
- იობის 29-ე თავი არის იობის მიერ საკუთარი თავის აღწერა მის წარსულ ცხოვრებაში, ანუ მისი ცხოვრების, პროლოგის მოვლენებამდე.
- იობის 30-ე თავი არის იობის მიერ საკუთარი თავის ასახვა ამჟამინდელი ტანჯვის დროს.
- იობის 31-ე თავი არის იობის მოწმობა თავისი უმწიკვლოების შესახებ.

(6) რა სამი სახის ინფორმაცია შეიძლება ვიპოვოთ ცალკეული ფსალმუნების სათაურებში?

- ავტორი
- ისტორიული გარემო
- მუსიკალური და ლიტურგიული ინსტრუქციები

(7) რომელ ოთხ ელემენტს შეიცავს გოდების ფსალმუნების უმეტესობა?

- საჩივრის აღწერა
- თხოვნა ღმერთთან
- ღმერთისადმი ნდობის გამოცხადება
- ღმერთის დიდება

(8) ჩამოთვალეთ სამი პრინციპი წყევლის (შერისხვის) ფსალმუნების გასაგებად.

- ისინი ეფუძნება თესვისა და მკის პრინციპს.
- ისრაელის მტრები საბოლოო ჯამში ღმერთის მტრები არიან.
- მეფსალმუნეები არ იღებენ საქმეს საკუთარ ხელში.

(9) რა კავშირია სამეფო და მესიანურ ფსალმუნებს შორის?

ბევრი სამეფო ფსალმუნი აღწერს მსოფლიო მმართველობას, რომელიც არასოდეს შესრულებულა ისრაელის ისტორიაში. ეს სრულდება იესო ქრისტეს ცხოვრებასა და მსახურებაში.

(10) დაწერეთ ზეპირად ნასწავლი ფსალმუნის 118:1-8.

(გადაამოწმეთ დაზეპირებული მუხლების სიზუსტე ბიბლიაში.)

გაკვეთილი 8

იგავები – ქებათა-ქება სოლომონისა: ებრაული სიბრძნე

(1) ჯონ კალვინის თანახმად, რომელი ორი რამისგან შედგება ჭეშმარიტი სიბრძნე?

- ღმერთის შემეცნება
- საკუთარი თავის შემეცნება

(2) ჩამოთვალეთ ამ გაკვეთილში მოცემული იგავის ოთხი მახასიათებლიდან ორი.

ნებისმიერი ორი:

- იგავი გადმოსცემს ზოგად პრინციპს.
- იგავი ეფუძნება ცხოვრებისეულ გამოცდილებას.
- იგავი აღთქმა არ არის; ეს არის ზოგადი, ცხოვრებისეული დაკვირვება.
- იგავი არ არის მცნება.

(3) რომელია იგავების ყველაზე გავრცელებული ტიპი 1-ლ კრებულში (იგავები 1–9)?

მსჯელობის იგავები

(4) ჩამოთვალეთ იგავების განსამარტად ამ გაკვეთილზე მოცემული შვიდი კითხვიდან ოთხი.

ნებისმიერი ოთხი:

- ეს იგავი სიბრძნეზე მიუთითებს, თუ სიბრიყვეზე?
- რას ამატებს იგავის მეორე ნაწილი მის პირველ ნაწილს?
- რა არის სიბრძნის წყარო ამ იგავში?
- როგორ ეხება ეს იგავი ჩემს სიტუაციას?
- არის თუ არა იგავებში სხვა მუხლებიც, რომლებიც ეხება იმ თემას, რომელსაც მე ახლა ვსწავლობ?
- ბიბლიის სხვა წიგნებიც ეხება თუ არა იმ თემას, რომელსაც მე ვსწავლობ?
- არსებობს თუ არა ბიბლიური პერსონაჟი, რომელიც განასახიერებს იგავს, რომელსაც მე ვსწავლობ?

(5) რა არის იგავებში მთავარი განმასხვავებელი „გულუბრყვილოსა“ და „ბრიყვს“ შორის?

გულუბრყვილოებს გააჩნიათ სწავლის უნარი, ხოლო ბრიყვებს სძულთ სიბრძნე და დარიგება.

(6) რა არის ეკლესიასტეს მთავარი თემა?

სიცოცხლის აზრის ძიება.

(7) რომელი ორი მოტივი იკითხება მკაფიოდ ეკლესიასტეში?

- ამაოება
- სიხარული

(8) ქებათა-ქების განმარტების რომელი ორი გზა არსებობს?

- ალეგორიული
- პოეტური

(9) დაწერეთ ზეპირად ნასწავლი იგავების 1:7 და ეკლესიასტეს 12:13–14.

(გადაამოწმეთ დაზეპირებული მუხლების სიზუსტე ბიბლიაში.)

გაკვეთილი 9
ესაია: მეხუთე სახარება

(1) რომელი ფრაზიდან ჩანს, რომ წინასწარმეტყველები ღვთის სიტყვას გვაუწყებენ და არა საკუთარ გზავნილს?

„ასე ამბობს უფალი“

(2) სიტყვა **"მხილველი"**-ს გამოყენება წინასწარმეტყველების აღსაწერად გვიჩვენებს, რომ ღმერთმა მომავალი ჭეშმარიტება გაუმხილა თავის წინასწარმეტყველებს.

(3) ჩამოთვალეთ სამი თემა, რომლებიც გვხვდება წინასწარმეტყველურ წიგნებში.

- აღთქმისადმი ერთგულება
- უფლის დღე
- მესიის მოსვლა

(4) უფლის დღე მოიცავს სამ ასპექტს. რა ასპექტებია ეს?

- უფლის დღე ურწმუნოთა განკითხვის დრო იქნება.
- უფლის დღე ღვთის ხალხის განწმენდის დრო იქნება.
- უფლის დღე ხსნის დრო იქნება მათთვის, ვინც ერთგულია.
  (1)

(5) იუდას რომელი ოთხი მეფის დროს მსახურობდა ესაია?

- იოთამი
- ახაზი
- ეზეკია
- მენაშე

(6) დაასახელეთ ესაიას წიგნის ორი მიზანი.

- გაფრთხილება სამსჯავროს შესახებ იუდას ცოდვისთვის
- იუდას გამხნევება ხსნის დაპირებით

(7) ვინ არის ნატამალი ესაიას წიგნში?

ისინი ვიც ერის განდგომის მიუხედავად, ღვთის ერთგული დარჩა

(8) ღვთის რომელი სახელია გამოყენებული ესაიაში ღვთის სიწმიდისა და უზენაესობის საჩვენებლად?

ისრაელის წმიდა

(9) ჩამოთვალეთ სამი მიზეზი, რატომ უნდა ვაღიაროთ ესაია, ესაიას მთელი წიგნის ავტორად.

- ესაია 1:1 ავტორად ესაიას ასახელებს.
- ესაიას ყველა ებრაული ასლი აჩვენებს ამ წიგნს, როგორც ერთ მთლიანს.
- ახალი აღთქმის ავტორები განიხილავენ ესაიას, როგორც მთელი წიგნის ავტორს.

(10) დაასახელეთ ორი ფიგურა ესაიას წიგნიდან, რომელიც ასახულია ახალ აღთქმაშიც.

ნებისმიერი ორი:

- იოანე ნათლისმცემელი ხმა მღაღადებლისა უდაბნოში
- იესოს შობა ქალწულის მიერ
- იესოს მიერ იგავების გამოყენება
- იესო მსახურება წარმართების მიმართ
- ერების მოქცევა

(11) დაწერეთ ზეპირად ნასწავლი ესაიას 9:6-7.

(გადაამოწმეთ დაზეპირებული მუხლების სიზუსტე ბიბლიაში.)

გაკვეთილი 10

იერემია და გოდება:
მოტირალი წინასწარმეტყველი

(1) რატომ ჰქვია იერემიას „მოტირალი წინასწარმეტყველი“?

მისი მწუხარების გამო ღვთის ხალხის ცოდვისა და ღვთის ქალაქის განადგურების შესახებ

(2) როგორი იყო იერემიას ოჯახი და გარემო?

მისი მამა იყო ანათოთელი მღვდელი.

(3) ჩამოთვალეთ ტყვეთა სამი ჯგუფის გადასახლების თარიღები. დაასახელეთ პირველი ორი ჯგუფის გადასახლებისას წაყვანილი ერთი წინასწარმეტყველი.

- 605 წ. ძვ. წ., დანიელი
- 597 წ. ძვ. წ., ეზეკიელი
- 586 წ. ძვ. წ.

(4) რა არის იერემიასა და გოდების წიგნების ძირითადი მიზნები?

- იუდას გაფრთხილება მომავალი განკითხვის შესახებ
- იერუსალიმის განადგურების აღწერა

(5) რა არის „წინასწარმეტყველური სარჩელი“?

წინასწარმეტყველთა ბრალდება, რომ ისრაელმა დაარღვია ღმერთთან დადებული აღთქმა

(6) რა არის „იერემიას აღსარება“?

ლოცვები, რომლებშიც იერემია შესჩივის ღმერთს მისი მსმენელების სიჯიუტის გამო

(7) რა არის „ნუგეშის წიგნი“ იერემიაში?

თავები, რომლებიც ჰპირდებიან, რომ ღმერთი აღადგენს იუდას თავის მიწაზე

(8) რა პოეტური ფორმაა გამოყენებული გოდების ხუთი თავიდან ოთხში?

აკროსტიკული პოეზია

(9) დაწერეთ ზეპირად ნასწავლი გოდება 3:21-24.

(გადაამოწმეთ დაზეპირებული მუხლების სიზუსტე ბიბლიაში.)

გაკვეთილი 11
ეზეკიელი და დანიელი: წინასწარმეტყველები გადასახლებაში

(1) რას ნიშნავს სახელი „ეზეკიელი“?

„ღმერთმა გააძლიერა“.

(2) რა არის ეზეკიელის წიგნის მიზანი?

იმედის გზავნილის მოტანა - ღმერთს არ მიუტოვებია თავისი ხალხი.

(3) რა არის ეზეკიელის შესატყვისი იერემიას ტაძრის ქადაგებასთან?

ღვთის დიდების განშორება ტაძრისგან (ეზეკიელი 10-11)

(4) ჩამოთვალეთ ეზეკიელის ახალი ტაძრის შესახებ ხილვის განმარტების ხუთი ვარიანტი.

- ტაძრის ფიზიკური აღდგენის დაპირება ისრაელის იერუსალიმში დაბრუნების შემდეგ
- მიწიერი მილენიუმის (ათასწლიანი მეფობის) სურათი
- ღმერთის მოქმედების სურათი დღევანდელი ეკლესიის მეშვეობით
- ღვთის თანდასწრების მეტაფორას მის ხალხთან, ახალ ცასა და ახალ დედამიწაზე
- ხილვა შეიცავს როგორც პირდაპირი, ასევე სიმბოლური მნიშვნელობის ელემენტებს

(5) ეზეკიელი წაიყვანეს ბაბილონში **597** წ. ძვ. წ.

დანიელი წაიყვანეს ბაბილონში **605** წ. ძვ. წ.

(6) რომელია დანიელის წიგნის სამი ცენტრალური თემა?

- ღმერთის უზენაესობა კაცობრიობის ისტორიაზე
- კაცობრიობის სიამაყე
- ღვთის ხალხის საბოლოო გამარჯვება

(7) რომელი ორი ენაა გამოყენებული დანიელის წიგნში?

ებრაული და არამეული

(8) ტრადიციული ინტერპრეტაციით, რომელი იმპერია არის წარმოდგენილი თითოეულ ამ სიმბოლოში?

- ლომი არწივის ფრთებით: **ბაბილონი**
- დათვი: **მიდია-სპარსეთი**
- მამალი თხა ერთი დიდი რქით: **საბერძნეთი**
- რკინის ფეხები, რკინის და თიხის ტერფები: **რომი**
- ქვა, რომელიც დიდ მთად იქცევა: **ღვთის სამეფო**

(9) რომელი ბიბლიური წიგნები შედგება ძირითადად ან ნაწილობრივ აპოკალიფსური წერილებისგან?

- დანიელი და გამოცხადება აპოკალიფსური წიგნებია
- ეზეკიელისა და ზაქარიას ნაწილი აპოკალიფსურია

(10) ახალი აღთქმის რომელი წიგნი ციტირებს ყველაზე ხშირად ეზეკიელსა და დანიელს?

გამოცხადება

(11) დაწერეთ ზეპირად ნასწავლი ეზეკიელი 36:25-27.

(გადაამოწმეთ დაზეპირებული მუხლების სიზუსტე ბიბლიაში.)

გაკვეთილი 12
მცირე წინასწარმეტყველები 1: ოსია, იოველი, ამოსი

(1) რა ეწოდება მცირე წინასწარმეტყველებს ებრაულ ბიბლიაში?

თორმეტის წიგნი

(2) რა განსხვავებაა დიდ და მცირე წინასწარმეტყველებს შორის?

მცირე წინასწარმეტყველები გაცილებით პატარა წიგნებია

(3) აღწერეთ ჩრდილოეთ სამეფოს ეკონომიკური და სულიერი მდგომარეობა ძვ. წ. მე-8 საუკუნეში.

ეკონომიკური კეთილდღეობა და სულიერი განდგომა

(4) რა არის ოსიას მთავარი მიზანი?

ისრაელის სულიერ მრუშობასთან დაპირისპირება

(5) რას უწინასწარმეტყველებს ისრაელს ოსიას თითოეული შვილის სახელი?

- იზრეყელი – ველი, სადაც ასურეთი დაამარცხებს ისრაელს
- ლორუხამა– არშეწყალება
- ლოყამი– არა ჩემი ხალხი

(6) რას ნიშნავს სიტყვა „ცოდნა“ ძველ აღთქმაში?

„ცოდნა“ ურთიერთობის აღმნიშვნელი ტერმინია ძველ აღთქმაში. იცოდე (იცნობდე) ნიშნავს განიცადო.

(7) რა არის იოველის მთავარი თემა?

უფლის დღე

(8) იოველში რომელი სტიქიური უბედურებაა მომავალ სასჯელად ნაწინასწარმეტყველები?

კალიების შემოსევის სასჯელი

(9) ახალი აღთქმის თანახმად, როდის აღსრულდა იოველის წინასწარმეტყველება მომავალი სულიერი გამოღვიძების შესახებ?

ორმოცდამეათე დღის დღესასწაულზე

(10) რა არის ამოსის წიგნის მიზანი?

ისრაელზე ღვთის სასჯელის წინასწარმეტყველება, მისი უმართლო საქციელის გამო - როგორც ღმერთის, ისე თავისი მოყვასის მიმართ

(11) ჩამოთვალეთ ამოსის ხუთი ხილვა სამსჯავროს შესახებ და განმარტეთ მათი მნიშვნელობა.

- კალიების შემოსევა გამიზნული ისრაელის გასანადგურებლად.
- ხანძარი ისრაელის გასანადგურებლად გამიზნული.
- შვეულის თარაზო აჩვენებდა, რომ ისრაელი არაკეთილსინდისიერი, იყო მრუდედ ვითარდებოდა.
- მწიფე ხილის კალათა აჩვენებდა, რომ ისრაელი მომწიფდა მყისიერი განკითხვისთვის.
- სამსხვერპლოს გვერდით მდგომი ღმერთი ნიშნავდა, რომ სასჯელი გარდაუვალი იყო.

(12) დაწერეთ ზეპირად ნასწავლი ოსია 10:12; იოველი 2:13; ამოსი 5:24.

(გადაამოწმეთ დაზეპირებული მუხლების სიზუსტე ბიბლიაში.)

გაკვეთილი 13
მცირე წინასწარმეტყველები 2: წინასწარმეტყველები მიმართავენ ერებს

(1) რა არის აბდიას წიგნის მიზანი?

წინასწარმეტყველება ედომის განადგურების შესახებ მისი სისასტიკის გამო იუდას მიმართ ბაბილონის ტყვეობის დროს.

(2) რა არის იონას წიგნის თემა?

ღვთის წყალობა ყველა ადამიანის მიმართ

(3) დაასახელეთ ორი გზა, რომლითაც იონას წიგნი გვაჩვენებს ღვთის უზენაესობას.

ნებისმიერი ორი:

- ღმერთმა ძლიერი ქარი ამოაგდო, რომელიც გემს ემუქრებოდა.
- ღმერთმა დიდი თევზი მოავლინა იონას ჩასაყლაპად.
- ღმერთმა აყირო აღმოაცენა იონას საჩრდილობლად.
- ღმერთმა მატლს მოუხმო აყიროს გასანადგურებლად.

(4) რომელ ორ გაკვეთილს გვასწავლის იონა?

მორჩილებისა და თანაგრძნობის გაკვეთილი

(5) მიქას თანახმად, რომელი სამი მახასიათებელი აჯამებს რჯულის მოთხოვნებს?

- სამართლიანობა
- წყალობა
- ღმერთთან თავმდაბალი სიარული

(6) რომელი წინასწარმეტყველებაა მოცემული მიქაში იესოს დაბადების შესახებ?

ის ბეთლემში დაიბადება.

(7) ვინ იყო ნაუმის წიგნის სამიზნე აუდიტორია?

ნინევე

(8) ჩამოთვალეთ აბაკუმის ორი შეკითხვა და ღმერთის პასუხები.

კითხვა: რატომ არის უმართლო იუდა წარმატებული??
პასუხი: ბაბილონი გაასამართლებს იუდას.

კითხვა: როგორ შეუძლია ღმერთს გამოიყენოს ბაბილონი იუდას გასასამართლებლად?
პასუხი: ისე მოხდება როგორც მე ვამბობ. მაგრამ მართალი კი თავისი რწმენით იცოცხლებს.

(9) რა არის სოფონიას მთავარი თემა?

უფლის დღე

(10) რომელი ხუთი ნაბიჯია შემოთავაზებული ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებების განსამარტად?

- მათი ქალაქი: რა იყო თავდაპირველი გზავნილი?
- მდინარე: რა განსხვავებაა მათ სამყაროსა და ჩვენს სამყაროს შორის?
- ხიდი: რა პრინციპი დგას თავდაპირველი გზავნილის უკან?
- რუკა: როგორ ჩანს ეს პრინციპი წმინდა წერილში?
- ჩვენი ქალაქი: როგორ გამოიყენება პრინციპი დღევანდელ სამყაროში?

(11) დაწერეთ ზეპირად ნასწავლი მიქა 6:8, ნაუმი 1:7–8 და აბაკუმი 3:2.

(გადაამოწმეთ დაზეპირებული მუხლების სიზუსტე ბიბლიაში.)

გაკვეთილი 14
მცირე წინასწარმეტყველები 3: წინასწარმეტყველები გადასახლების შემდეგ

(1) რომელ სამ სულიერ პრობლემას შეეხნენ წინასწარმეტყველები გადასახლების შემდეგ?

- ტაძარი არ იყო აღდგენილი.
- ურწმუნო წარმართებთან ქორწინებამ გამოიწვია რელიგიური სინკრეტიზმი.
- ბევრი ებრაელი არ იცავდა შაბათს.

(2) რა დროით არის დათარიღებული ანგიას და ზაქარიას წიგნები?

520 წ. ძ.წ.

(3) ანგიამ ოთხი გზავნილი გადმოგვცა. მიუთითეთ თითოეული გზავნილის თემა.

- პრიორიტეტები
- იმედგაცრუება
- დაუმორჩილებლობა
- შიში

(4) რა არის ზაქარიას თემა?

ღვთის სამეფოს აღდგენა

(5) დაასახელეთ ზაქარიას ორი მესიანური წინასწარმეტყველება.

ნებისმიერი ორი:

- მართალი შტო (მორჩი)
- მეფე თავმდაბალი, ამხედრებული სახედარზე
- მწყემსი უარყოფილი და ოცდაათ შეკელ ვერცხლად გაყიდული
- ის ვინც განგმირეს
- მომავალი მსაჯული

(6) რატომ გვჯერა, რომ მალაქია ქადაგებდა ძვ.წ. 475-425 წლებში?

ის იგივე ცოდვებს მოიხსენიებს, რასაც ეზრა და ნეემია.

(7) ჩამოთვალეთ მალაქიაში ღმერთის თითოეული „დავის“ სამი ნაწილი.

- ღმერთი აკეთებს განცხადებას იუდას საქციელთან დაკავშირებით.
- ხალხმა კითხვით უპასუხა.
- ღმერთი პასუხობს კითხვას.

(8) დაწერეთ ზეპირად ნასწავლი ანგია 2:7-9 და მალაქია 3:1.

(გადაამოწმეთ დაზეპირებული მუხლების სიზუსტე ბიბლიაში.)